



შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

ა ლ გ ა ნ ი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ქ. თბილისი

2019 წ.

შინაარსი:

- 1 სრული შემოსავლის ანგარიშგება
- 2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 3 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
- 4 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- 5 ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლის ანაგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	4	12 682 818	11 101 504
გაწეული მომსახურების და გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(7 652 879)	(8 112 266)
საერთო მოგება		5 029 939	2 989 238
სხვა შემოსავლები	5	80 131	19 503
ადმინისტრაციული ხარჯი	6	(3 796 615)	(1 365 372)
მიწოდების დანახარჯები		(40 896)	(43 575)
პერიოდის ზარალი		(7 077)	(302)
სხვა ხარჯები	7	(36 405)	(48 871)
საოპერაციო მოგება		1 229 078	1 550 622
ფინანსური შემოსავალი		4 772	1 240
ფინანსური ხარჯი	8	(42 430)	(49 543)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(37 658)	(48 303)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		1 191 419	1 502 319
მოგების გადასახადი		(10 143)	(4 406)
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი		1 181 276	1 497 913
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი		-	(352)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1 181 276	1 497 560

დირექტორი:

რ. დევდარიანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	3 554 460	2 923 763
არამატერიალური აქტივები	10	34 619	28 669
		3 589 079	2 952 432
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	412 097	376 981
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12	2 024 531	1 794 529
გადახდილი ავანსები		63 553	68 219
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	13	296 212	192 843
		2 796 394	2 432 573
მთლიანი აქტივები		6 385 473	5 385 005
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		44 995	230 448
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4 702 777	3 796 453
		4 747 772	4 026 901
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14	100 568	221 383
გადავადებული შემოსავალი		-	16 898
		100 568	238 282
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	14	64 547	286
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი	15	1 173 660	781 270
საგადასახადო ვალდებულებები	16	298 926	338 266
		1 537 133	1 119 822
მთლიანი ვალდებულებები		1 637 701	1 358 104
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6 385 473	5 385 005

დირექტორი:

რ. დევდარიანი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	<u>362 694</u>	<u>2 553 122</u>	<u>2 915 816</u>
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 497 560	1 497 560
გაცემული დივიდენდი	-	(254 757)	(254 757)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(149 926)	-	(149 926)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	17 680	-	17 680
2018 წლის 31 დეკემბერი	<u>230 448</u>	<u>3 795 925</u>	<u>4 026 373</u>
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 181 276	1 181 276
გაცემული დივიდენდი	-	(274 424)	(274 424)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(337 001)	-	(337 001)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	151 548	-	151 548
2019 წლის 31 დეკემბერი	<u>44 995</u>	<u>4 702 777</u>	<u>4 747 772</u>

დირექტორი:

რ. დევდარიანი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	1 181 276	1 497 560
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	934 673	475 238
- მოგების გადასახადი	215	4 406
- ცვეთა	695 556	420 450
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	2 905
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	264 417	(1 128)
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(5 457)	302
- წმინდა ფინანსური ხარჯი	(20 058)	48 303
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(197 425)	145 664
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	200 669	1 514
- მარაგები	(35 116)	157 361
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(392 390)	(97 580)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	29 412	84 369
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	1 918 524	2 118 462
- მიღებული პროცენტი	4772	1 240
- გადახდილი პროცენტები	(42 430)	(49 543)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(9 928)	(4 406)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1 870 938	2 065 753
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 290 553)	(1 381 373)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	25 166	7 258
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 265 387)	(1 374 115)
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	(185 453)	(132 246)
- სასესხო ვალდებულების ზრდა (შემცირება)	(56 554)	(267 017)
- გადახდილი დივიდენდები	(260 702)	(254 758)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(502 709)	(654 021)

ფულადი სახსრების ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	102 842	37 617
ფულადი სახსრების ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	192 842	155 893
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	528	(668)
ფულადი სახსრების ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	296 212	192 842

დირექტორი:

რ. დევდარიანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალგანი“ დაფუძნდა 2004 წლის 10 დეკემბერს, სარეგისტრაციო ნომრით 2/4-4215, საიდენტიფიკაციო ნომერი 202246097, იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N8.

შპს „ალგანის“ პარტნიორები არიან ფიზიკური პირები, ალექსანდრე გაგნიძე და გრიგოლ ნემსაძე (წილის მმართველი მანანა აბაშიძე, პ/ნ 01024041081) 50%-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

შპს „ალგანი“ (შემდგომში-საწარმო) ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე დაცვის მომსახურების გაწევა და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საქონლის მიწოდება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკურ გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს, ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. ამ პერიოდში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები განზოგადებულია სრული შემოსავლების და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პერიოდის დასასრულისთვის; პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში; პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში; ახსნა-განმარტებითი შენიშვნებში მოტანილია დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს შესაბამისად.

2. მომზადების საფუძველი

საწარმოს წინამდებარე წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს მენეჯმენტს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის, მომგებიანობის და ფულადი ნაკადების შეფასების შედეგად სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების, გარდა ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგებისა, წარდგენა ხდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით. ბუღალტრულ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას, ოპერაციების და მოვლენების აღიარება ხდება მათი განხორციელებისთანავე. ისინი აისახება იმ პერიოდის ბუღალტრულ რეგისტრატებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც მათი მოხდენის თარიღი მიეკუთვნება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებულ შეფასების საფუძველს და თითოეული გამოყენებული სპეციფიკური სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების სწორად გასაგებად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ პერიოდთან მიმართებაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საწარმო არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით. ისტორიული ღირებულება, ჩვეულებრივ განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადაცემული ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული გარიგების დროს.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“. ვალუტა, რომლითაც განსაზღვრულია საწარმოს საქონლისა და მომსახურების გასაყიდი ფასები და რითაც ხდება ანგარიშსწორება. მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად გამოყენებულია ეროვნულ ვალუტა - ლარი.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

ამონაგების აღიარება

საწარმოს ამონაგების წყაროს წარმოადგენს დაცვის მომსახურების გაწევა და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საქონლის რეალიზაცია. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

საწარმოს მიერ მისი აქტივების გამოყენებიდან მიღებულ სარგებლს, როგორცაა პროცენტი, აღიარებს ამონაგებად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით თუ მოსალოდნელია ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში; და შესაძლებელია ამონაგების სიდიდის საიმედოდ შეფასება. კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული სადეპოზიტო ანგარიშებიდან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შევებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ რომელიმე სხვა მსს ფასს არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან (სხვა საწარმოდან) მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

მარაგი

მარაგის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კეთილმოწყობას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 7 წელს. კეთილმოწყობის ცვეთის ხარჯის აღიარება ხდება სხვა დანარჩენი შენობებისგან განცალკევებით წრფივი მეთოდით. შენობები მოიცავს ასევე ღობეს, რომელსაც სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული აქვს 10 წელი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	1-5%
მანქანა-დანადგარები	8-20%
ოფისის აღჭურვილობა	5-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-20%
ტრანსპორტი	5-25%
სხვა ძირითადი საშუალებები	8-20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

არამატერიალური აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- ლიცენზიები 10 წელი
- პატენტები 10 წელი
- პროგრამული უზრუნველყოფა 10 წელი
- აუდიო-ვიდეო პროდუქცია 3 წელი
- სხვა არამატერიალური აქტივები 10 წელი

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნები-სმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განსაზღვრავს მომავალთან დაკავშირებით გამოყენებულ ძირითად დაშვებების და აგრეთვე საანგარიშგებო თარიღისათვის განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებულ სხვა ძირითად წყაროებს, რომელთა გამოც არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკი მომდევნო ფინანსურ წელს. საწარმო განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები შეიძლება შეეხოს, მოსალოდნელი სავალუტო კურსის მერყეობით გამოწვეული კრედიტორული და დებიტორული ვალდებულების ცვლილებას.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი საწყისი აღიარების შემდგომ კლასიფიცირდება და ფასდება:

- ამორტიზებული ღირებულებით;
- რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით; ან
- რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

წარსადგენ პერიოდში საწარმოს არ გააჩნდა რეალური ღირებულებით შეაფასებელი ფინანსური აქტივები.

ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარდება მოგებაში და ზარალში, აისახება ფინანსური ხარჯების, ფინანსური შემოსავლების ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომელიც აისახება სხვა ხარჯების შემადგენლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და წარმოდგენილია სავაჭრო ვალდებულებების სახით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის მიერ განხორციელებულ შენატანს მასში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

გაუნაწილებელი მოგება მოიცავს საანგარიშგებო და წინა პერიოდებში დაგროვილ და გაუნაწილებელ მოგებას.

დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

წილობრივ მონაწილეობასთან დაკავშირებული დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების პერიოდში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ამონაგები

	დასახელება	2019 წელი	2018 წელი
1	შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	12 570 619	10 451 641
2	შემოსავალი დღგ-ს ნულოვანი დაბეგვრით	53 391	649 863
3	სხვა შემოსავალი	58 808	-
	სულ შემოსავლები	12 682 818	11 101 504

5. სხვა შემოსავლები

	დასახელება	2019 წელი	2018 წელი
1	სადაზღვევო ანაზღაურება	11 995	-
2	შემოსავალი ჯარიმები და საურავებიდან	14 540	18 144
3	შემოსავალი ადმინისტრაციული პირებიდან	975	-
4	საპენსიო ფონდიდან მიღებული სარგებელი	127	-
5	სარგებელი ძირ. საშუალ. რეალიზაციიდან	25 166	1 359
6	საკუროს სახვაობის შედეგი	1 071	-
6	სხვა შემოსავალი და სარგებელი	26 257	-
	სხვა შემოსავლები	80 131	19 503

6. ადმინისტრაციული ხარჯი

	დასახელება	2019 წელი	2018 წელი
1	მარაგის ხარჯი	395 903	1 089 444
2	შრომის ანაზღაურება	1 890 474	-
3	ცვეთის-ამორტიზაციის ხარჯი	695 084	275 928
4	შემძენილი მომსახურების ხარჯი	814 322	-
5	სხვა საგადასახადო ხარჯი	831	-
	ჯამი	3 796 615	1 365 372

7. სხვა ხარჯები

	დასახელება	2019 წელი	2018 წელი
1	შეძენილი მომსახურების ხარჯი	34 224	-
2	საგადასახადო ხარჯი	-	20 920
3	ქველმოქმედება	1 247	-
4	წარმომადგენლობითი ხარჯი	284	-
5	ჯარიმები და საურავების ხარჯი	176	2 905
6	სხვა ხარჯი	474	25 046
	ჯამი:	36 405	48 871

8. ფინანსური ხარჯი

	დასახელება	2019 წელი	2018 წელი
1	სესხის საპროცენტო ხარჯი	28 883	49 543
2	საიჯარო საპროცენტო ხარჯი	13 547	-
	ჯამი:	42 430	49 543

9. ძირითადი საშუალებები

	დასახელება	მიწა	დაუმთავრებელი გშენებლობა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ოფისის მოწყობილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	იჯარის კეთილმოწყობა	სულ
	საწყისი (ისტორიული) ღირებულება									
	ნაშთი: 31.12.2018	370530,46	57150,8	1073402,1	688816,98	1196812,3	120353,05	674617,26	3837,16	4185520
1	აქტივების შეძენა	-	4 812,59	152 251,34	240 450,86	527 036,40	18 639,02	531 588,14	170 340,81	1645119
2	აქტივების გასვლა	-	(61 963,39)	-	(58 457,04)	(229 528,3)	(3 036,21)	(193 262,25)	(3 483,00)	(549 730)
	ნაშთი: 31.12.2019	370530,46	0	1225653,44	870810,8	1494320,39	135955,86	1012943,15	170694,97	5280909
	აღიარებული ცვლილება									
	ნაშთი: 31.12.2018	0	0	3680,68	481322,63	403629,42	34894,39	340369,58	1607,96	1265505
1	ცვლილების დარიცხვა	-	-	8 422,79	93 525,94	254 401,02	23 658,74	210 548,38	93 737,32	684294
2	ცვლილების ჩამოწერა	-	-	-	(57 679,59)	(12 358,10)	(3 017,78)	(146 811,07)	(3 483,00)	(223 350)
	ნაშთი: 31.12.2019	0	0	12103,47	517168,98	645672,34	55535,35	404106,89	91862,28	1726449
	სნდ- 31.12.2019	370530,46	0	1213549,97	353641,82	848648,05	80420,51	608836,26	78832,69	3554460

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული საბანკო იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 14).

10. არამატერიალური აქტივები

	აქტივის დასახელება	ნაშთი 31.12.2019	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2018
	შემენის ღირებულება				
1	ლიცენზიები	37 120,00	-	-	37 120,00
2	პროგრამა	16 439,50	593,22	-	15 846,28
3	პატენტები	996,77	-	-	996,77
4	ალგანის ლოგოს პატენტი	1 859,83	1 859,83	-	-
5	SAMSON 1000 კაპ-ის გასაღები	6 591,41	4 661,02	-	1 930,39
6	ეიჩარ პროგრამა	6 639,46	-	-	6 639,46
7	რეალიზაციის პროგრამა	17 000,03	5 180,36	-	11 819,67
8	საიმიჯო კლიპი	8 705,97	-	-	8 705,97
9	ალგანის სარეკლამო ვიდეო რგოლი	2 413,51	-	-	2 413,51
	ჯამი	97 766,48	12 294,43	-	85 472,05
	ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2019	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2018
1	ლიცენზიების ამორტიზაცია	32 572,95	3 712,00	-	28 860,95
2	პროგრამის ამორტიზაცია	14 067,70	1 639,50	-	12 428,20
3	პატენტების ამორტიზაცია	950,76	99,68	-	851,08
4	SAMSON 1000 კაპ-ის გასაღები	1 930,39	-	-	1 930,39
5	ეიჩარ პროგრამის ამორტიზაცია	2 593,30	663,95	-	1 929,35
6	რეალიზაციის პროგრამის ამორტიზაცია	4 001,92	1 440,99	-	2 560,93
7	საიმიჯო კლიპის ამორტიზაცია	5 823,98	2 901,99	-	2 921,99
8	ალგანის სარეკლამო რგოლის ვიდეო რგოლის ამორტიზაცია	1 206,25	804,00	-	402,25
	ჯამი	63 147,25	11 262,11	-	51 885,14
	საბალანსო ღირებულება	34619,23	1032	0	33 586,91

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ამორტიზაციის თანხის გამოკლებით.

არამატერიალური აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- ლიცენზიები 10 წელი
- პატენტები 10 წელი
- პროგრამული უზრუნველყოფა 10 წელი
- აუდიო-ვიდეო პროდუქცია 3 წელი
- სხვა არამატერიალური აქტივები 10 წელი

11. მარგები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
1	ნედლეული და მასალები	238 447	234 269
2	საქონელი	173 650	142 712
	ჯამი:	412 097	376 981

12. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
1	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 212 498	1 990 956
2	საექვო მოთხოვნების რეზერვი	(200 410)	(200 410)
3	საგადასახადო მოთხოვნები	-	350
4	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12 443	3 633
	ჯამი:	2 024 531	1 794 529

13. ფულადი სახსრები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	267 898	149 306
2	ფული საბანკო ანგარიშზე - ვალუტა	1 944	52
3	ფული სალაროში	26 371	43 485
	ჯამი:	296 212	192 843

14. სესხები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
1	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	100 568	221 383
2	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	64 547	286
	სულ სასესხო ვალდებულება	165 115	221 669

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები წარმოადგენენ საბანკო სესხებს, რომლებიც დენომინირებულია ლარში. გრძელვადიანი სესხის დაფარვის ვადაა 2022 წლის 28 აპრილი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 13,5%. საწარმოს დაწესებული არ აქვს რაიმე სახის შეზღუდვები, რომლის თანახმადაც საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

15. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
1	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	393 806	144 181
2	საიჯარო ვალდებულებები	119 816	25 259
3	თანამშრომლების ხელფასების და პრემიების ვალდებულებები	655 594	592 697
4	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4 444	19 133
	ჯამი:	1 173 660	781 270

16. საგადასახადო ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
1	საშემოსავლო გადასახდი	(228 135)	(273 175)
2	დღგ-ს გადასახადი	(348)	215
3	მიწის გადასახადი	(416)	-
4	ერთიანი საგადასახადო ანგარიში	(69 813)	(65 834)
	სხვა გადასახადი	(215)	528
	ჯამი:	(298 926)	(338 266)

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმოს წილის მესაკუთრეებს წარმოადგენენ ბატონი ალექსანდრე გაგნიძე - 50 %, ბატონი გრიგოლ ნემსაძე - 50 % (წილის მმართველი მანანა აბაშიძე კ/ნ 01024041081 (50%)).

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება	2019წ.	2018წ.
	<u>119 832</u>	<u>82 797</u>
	119 832	82797

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს.